



საქართველოს საზოგადოების ინსტიტუტი CIVIL SOCIETY INSTITUTE

დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტებზე

დავით ნარმანია

1. დასკვნა საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“

1.1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შემოღება მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს საქართველოს საფინანსო სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო შემოსავლების სფეროში ადმინისტრირების ორგანოები საკმაოდ ხშირი რეორგანიზაციით და ცვლილებებით ხასიათდებოდა, საბაჟო, საგადასახადო და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების გაერთიანების მცდელობას ჯერ-ჯერობით ადგილი არ ჰქონია. როგორც „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, ამ კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დაგეგმილი რეორგანიზაციის განხორციელებით, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის, საბაჟო დეპარტამენტის და ფინანსური პოლიციის გაერთიანება და მათ საფუძველზე ერთიანი შემოსავლების სამსახურის შექმნა. აღნიშნულმა სამსახურმა უნდა შეითავსოს ზემოხსენებული სამივე დაწესებულების ფუნქციები.

კანონპროექტი განსაზღვრავს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სამართლებრივ სტატუსს, სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებს და მიმართულებებს, სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის საფუძველებს, სამსახურის თანამშრომელთა მიერ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების ძირითად პრინციპებს, აგრეთვე სამსახურის მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიებს და სამსახურის დაფინანსების წესს. ამასთან, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება იწვევს 28 საკანონმდებლო აქტში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანას. ეს საკანონმდებლო აქტებია:

- ◆ საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- ◆ საქართველოს საბაჟო კოდექსი;
- ◆ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- ◆ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- ◆ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- ◆ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- ◆ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- ◆ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „საკარანტინო მომსახურების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ საქართველოს კანონი;

- ◆ „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- ◆ „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო დონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ◆ „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ამასთან, გაუქმებულად ცხადდება „ფინანსური პოლიციის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 24 თებერვლის კანონი, რომელიც არეგულირებდა საფინანსო სფეროში დანაშაულის აღკვეთას, ამავე სფეროში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ა.შ. აღნიშნულის შედეგად, ფინანსური პოლიციის გაუქმების შემდეგ საკანონმდებლო რეგულირების გარეშე რჩება მთელი რიგი ისეთი საკითხებისა, რომელთა განხორციელების უფლებამოსილებაც უნდა შევიდეს შემოსავლების სამსახურის კომპეტენციაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ერთიანი საკანონმდებლო აქტის შემუშავება, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება შემოსავლების სამსახურის ფუნქციები და ამოცანები, სამსახურის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. თუმცა, საგადასახადო ორგანოთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საბაჟო ორგანოთა უფლება-მოვალეობებს – საქართველოს საბაჟო კოდექსი, ხოლო წარმოდგენილი კანონპროექტი განსაზღვრავს გაურკვეველი თანამდებობის პირების უფლება-მოვალეობებს¹. უნდა ვიგულისხმოდ, რომ ეს პირები ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი პირები არიან, ვინაიდან წარმოდგენილი კანონპროექტი ძირითადად გაუდგენთილია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების პრინციპებით და საშუალებებით (ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება და სხვა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მწირი ინფორმაციის მომცველია კანონპროექტის განმარტებითი ბარათი. მასში არ ჩანს ის უმთავრესი მიზეზი და საფუძვლები, რის გამოც გახდა აუცილებელი სამი უმთავრესი ორგანოს გაერთიანება და მათ ბაზაზე ერთიანი ორგანოს – შემოსავლების სამსახურის ჩამოყალიბება.

¹ ამ და სხვა საკანონმდებლო აქტებში საკმაოდ ხშირად ნახსენებია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის პირები. დეტალური ინფორმაცია ამის თაობაზე იხ. ზემოაღნიშნული დასკვნის მე-2 თავში.

1.2. კონკრეტული შენიშვნები და წინადადებები

წარმოდგენილი კანონპროექტის 1-ლი მუხლით, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის საფუძვლებს, ხოლო მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით, მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესით დადგენილი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. თუ კანონი განსაზღვრავს სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის საფუძვლებს, მაშინ უნდა შეიქმნას ცალკე კანონქვემდებარე აქტი, რომელიც სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესს დეტალურად დაარეგულირებს და ამ აქტის სახე აუცილებლად ნორმატიული აქტი უნდა იყოს და არა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი.

კანონპროექტის მე-2 მუხლით, სამსახური არის სამართალდამცავი ორგანო, რომელიც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახით შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ამ სამსახურის ყველა მოსამსახურე (გარდა დამხმარე პერსონალისა) იქნება ოპერატიული თანამშრომელი და საგადასახადო-საბაჟო ორგანოების დღეს არსებული თანამშრომლები (საჯარო მოსამსახურეები) ხდებიან პოლიციური ორგანოს ოპერატიული თანამშრომლები. ამით, ჩვეულებრივი საგადასახადო ორგანოს სტატუსის ორგანოს ნაცვლად, იქმნება გასამხედროებული და ფინანსური პოლიციის სამართალმემკვიდრე სპეციალური სამართალდამცავი ორგანო.

კანონპროექტის მე-3 მუხლში ჩამოთვლილია სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები – საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტები. ჩამონათვალს აუცილებლად უნდა დაემატოს საქართველოს ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსი, ვინაიდან სარჩელი საგადასახადო და საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე სასამართლოს უნდა წარედგინოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვადაში და წესით.

კანონპროექტის მე-6 მუხლში ჩამოყალიბებულია შემოსავლების სამსახურის ძირითადი ფუნქციები. მათი დიდი ნაწილი ოპერატიულ-სამძებრო და ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების სახეს ატარებს. ამასთან, საქართველოს საგადასახადო (მუხლი 50) და საბაჟო კოდექსებით (მუხლი 22) განსაზღვრულია შესაბამისად საგადასახადო და საბაჟო ორგანოების ძირითადი ფუნქციები. აღნიშნულ კანონპროექტშიც და შესაბამის კოდექსებშიც დასაზუსტებელია ფუნქციების გამოყენების საკითხები. უმჯობესია, საგადასახადო-საბაჟო კოდექსებიდან ამ ფუნქციების ამოღება (და საერთოდ საგადასახადო-საბაჟო ორგანოების სტატუსის მარეგულირებელი თავების ამოღება) და წარმოდგენილ კანონპროექტში ერთიანი, სისტემატიზირებული სახით თავმოყრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივი ქაოსი იქნება შემოსავლების სამსახურის სისტემაში ფუნქციათა გადანაწილების თვალსაზრისით. მიზანშეწონილია ასევე ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვროს შემოსავლების სამსახურის შიგნით ფუნქციები მიმართულებების შესაბამისად (საბაჟო, საგადასახადო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა). აღნიშნულის აუცილებლობაზე მივითითებ კანონპროექტის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის შესაბამისადაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე სამსახურის ტერიტორიული ორგანოები და სტრუქტურული ქვედანაყოფები, აგრეთვე სამსახური უფლებამოსილები არიან განახორციელონ საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო და/ან საბაჟო ორგანოების ფუნქციები, აგრეთვე ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული ცალკეული ფუნქციები.

ამავე მუხლის „ბ“ და „ე“ პუნქტებში ცალ-ცალკე ნახსენებია ცნებები „გადასახადები“ და „საბაჟო გადასახადები“. უნდა აღინიშნოს, რომ

საგადასახადო კოდექსში მომზადებული ცვლილებით, უქმდება „საბაჟო ტარიფის შესახებ“ საქართველოს კანონი და საბაჟო გადასახადი შედის საგადასახადო კოდექსის რეგულირების სფეროში, ხოლო დღგ-ს და აქციზს ისედაც საგადასახადო კოდექსი არეგულირებს. საბაჟო გადასახდელად რჩება მხოლოდ საბაჟო მოსაკრებელი, ამიტომაც უმჯობესია აქაც და სხვა ნაწილებშიც გამოყენებულ იქნას ცნებები „გადასახადები“ და „საბაჟო მოსაკრებლები“.

გამართვას საჭიროებს კანონპროექტის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც სპეციალური საშუალების სახეობა, ფიზიკური იძულების ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული ვითარების, სამართალდარღვევის ხასიათისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და გაურკვეველია ინდივიდუალური თავისებურებების ცნება.

კანონპროექტის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა. აქ აუცილებლად უნდა იყოს თანმიმდევრობა მითითებული: ჯერ სიტყვიერი გაფრთხილება, ხოლო შემდეგ – გამაფრთხილებელი გასროლა. აუცილებლობის შემთხვევაში კი შესაძლებელია პირდაპირ გამოყენებულ იქნას გამაფრთხილებელი გასროლა.

კანონპროექტის მე-13 მუხლიდან ამოსაღებია მე-2 პუნქტი („სამსახური შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში“), ვინაიდან იგი იმეორებს ამავე კანონპროექტის მე-2 მუხლში გადმოცემულ შინაარსს („სამსახური არის სამართალდამცავი ორგანო, რომელიც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახით შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში“). ამასთან, ერთმანეთთან გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის მე-13 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები, რომლის მიხედვითაც გაურკვეველია, თუ რის საფუძველზე იქმნება სამსახურის ტერიტორიული ორგანოები და სტრუქტურული ქვედანაყოფები – კანონის თუ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

კანონპროექტის მე-14 მუხლით, ყოველი საგადასახადო წლის დამთავრების შემდეგ 3 თვის ვადაში სამსახური აქვეყნებს ანგარიშს, რომელშიც აღინიშნება შესაბამისი ინფორმაცია სამსახურის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებზე. ანგარიშში აღინიშნება ის პირები, რომელთა საგადასახადო დავალიანება აღემატება 100 000 ლარს. აქ აუცილებლად უნდა იყოს მითითება, რომ ეს თანხა არის აღიარებული გადასახდელი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს შელახავს გადამხდელის ინტერესებს, ვინაიდან შესაძლოა გადამხდელი არ ეთანხმებოდეს საგადასახადო ორგანოს მიერ დარიცხულ თანხას და მას ამის სამართლებრივი საფუძველი ჰქონდეს.

კანონპროექტის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით, მოსამსახურეს ენიჭება სპეციალური ფორმის ტანსაცმლისა და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად. აღნიშნული ჩანაწერი ნიშნავს იმას, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ყოველ ცალკეულ მოსამსახურეზე უნდა გამოსცეს ინდივიდუალური ბრძანებულება, რაც საფუძველს მოკლებულია. უმჯობესია, აღნიშნული საკითხი ერთი ნორმატიული აქტით დარეგულირდეს. უნდა გასწორდეს ამავე მუხლის მე-3 პუნქტი და სადაც აღნიშნულია, რომ მოსამსახურეს ეძლევა „პირადობის მოწმობა“, უნდა ჩაიწეროს „სამსახურებრივი პირადობის მოწმობა“.

მე-18 მუხლში ჩამოთვლილია სამსახურის გავლასთან დაკავშირებული შეზღუდვები, თუმცა არაფერია ნახსენები სამხედრო სამსახურგაუვლელ პირებზე. მამრობითი სქესის პირს, რომელსაც არა აქვს გავლელი სავალდებულო სამხედრო სამსახური, არ უნდა ჰქონდეს შემოსავლების სპეციალურ სამსახურში მუშაობის უფლება.

მე-19 მუხლში ჩამოთვლილია მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველები. ამ საფუძველებში ვხვდებით ისეთ გაუგებარ და გაუმართავ ფრაზას,

როგორცაა „გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა“ (1-ლი პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტი). ამასთან, გაურკვეველია, თუ რატომ უნდა იყოს პირის განთავისუფლების საფუძველი სტრუქტურული ქვედანაყოფის რეორგანიზაცია (1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი). თუ რეორგანიზაცია იქნება განთავისუფლების საფუძველი, მაშინ მოსამსახურეთა დათხოვნის საფუძველად ამ სამსახურში გაუთავებელ რეორგანიზაციებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

გასამართია 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის ბოლო აბზაცითაც „თუ ერთჯერადი დახმარების მიღების უფლება გააჩნიათ მხოლოდ მშობლებს, მათ დახმარება მიეცემათ ყველა შემთხვევაში“. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, მოსამსახურის დასახიჩრების ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში, მოსამსახურეს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, მიეცემა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7000 ლარისა. აქ არ ჩანს, უმკურნალებენ თუ არა სამსახურის ხარჯებით დასახიჩრების შემთხვევაში მოსამსახურეს, იქნებ 7000 ლარი საერთოდ არ ჰყოფნის მის მკურნალობას.

საკმაოდ საინტერესოა კანონპროექტის 26-ე მუხლის (გარდამავალი დებულებანი) მე-3 და მე-7 პუნქტები: „იმ შემთხვევაში, თუ რეორგანიზაციის საწყის ეტაპზე განხორციელდება მხოლოდ ორი უწყების გაერთიანება, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილება დებულებით მინიჭებული კომპეტენციების შესაბამისად განახორციელონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათანადო საქვეუწყებო დაწესებულებებმა“; „თუ რეორგანიზაცია ხორციელდება ეტაპობრივად ამ მუხლის მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტის მოთხოვნები შესაბამისი საგადასახადო და საბაჟო ორგანოების, ფინანსური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მოსამსახურეებზე გავრცელდება მხოლოდ მათი რეორგანიზაციის შემდგომ. ამ მომენტამდე მოხდება შესაბამისი თანამდებობების პირების გადანიშნვა სამსახურის საგადასახადო და საბაჟო ორგანოების, ტერიტორიული ორგანოების შესაბამის თანამდებობებზე“. ასეთი ჩანაწერით იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკითხი არის მოუმზადებელი და კანონშემოქმედი ბოლომდე არ არის გარკვეული რეფორმის განხორციელების სქემაში. ამიტომაც, აღნიშნული პუნქტები საერთოდ უნდა იქნას ამოღებული კანონპროექტიდან.

გამართვას საჭიროებს კანონპროექტის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის ბოლო წინადადება: „აღნიშნულ დანიშვნაზე გადაწყვეტილების მიღებისას არ ვრცელდება დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები“. ასევე გასამართია მე-8 პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ „ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან განთავისუფლებულ პირებს მიეცემათ კომპენსაცია სამსახურის შექმნის დღემდე არსებული 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით“. მის ნაცვლად უმჯობესია იყოს ჩანაწერი „...სამსახურის შექმნამდე დაკავებული თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობით“.

2. დასკვნა წარმოდგენილი კანონპროექტიდან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტიდან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებებში აშკარად არეულია ერთმანეთში საგადასახადო ორგანოს, საბაჟო ორგანოს და სპეციალური ორგანოს ფუნქციები. დიდ ნაწილში მითითებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სპეციალური ორგანო, რომლის სტატუსიც და დანიშნულებაც გაურკვეველია. ხოლო ზოგიერთ დეტალებში მოიხსენიება ცალკე საგადასახადო და საბაჟო ორგანოები. მაგ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში 4.6 პუნქტის სახით შემოთავაზებული ცვლილებით, „სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი

სამსახური აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო სამეწარმეო რეესტრის ასლს (ელექტრონულ ვერსიას) უგზავნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სტატისტიკის დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არაუგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა. სააქციო საზოგადოების სამეწარმეო რეესტრის ასლს (ელექტრონულ ვერსიას) საგადასახადო ორგანო ამავე ვადაში უგზავნის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას”. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის სახით შემოთავაზებულ რედაქციაში: „...საერთაშორისო დონისძიებების ჩატარებისას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს შესაბამის დოკუმენტს, რომელიც საქართველოს საბაჟო ორგანოებისათვის წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გატარების საფუძველს”. “საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის ახალი რედაქციით: „წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის სფეროში კონტროლს ახორციელებენ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.”

როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ოპერატიული ფუნქციებით აღჭურვილი სპეციალური სტატუსის მქონე ორგანო იქნება, ვინაიდან მისი თანამდებობის პირებზე წესდება სპეციალური წოდებები და მათ საქართველოს ფინანსთა მინისტრი მიანიჭებს. ამ მხრივ საყურადღებოა „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის სახით შემოთავაზებული ცვლილება: ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული თანამდებობის პირებისათვის წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

- ◆ უმცროსი სპეციალური წოდება – რიგითი, უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი;
- ◆ საშუალო სპეციალური წოდება – უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი;
- ◆ უფროსი სპეციალური წოდება – მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი;
- ◆ უმაღლესი სპეციალური წოდება – გენერალ-მაიორი.

2.1. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსები

წარმოდგენილი ცვლილებების უმთავრესი ნაწილი საგადასახადო და საბაჟო კოდექსებში შესაბამისი ორგანოების საქმიანობასთან და კომპეტენციებთან არის დაკავშირებული. იქ, სადაც აღნიშნული იყო საგადასახადო ან საბაჟო ორგანო, ხდება აღნიშვნა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახით. შესაბამისად, ერთი შეხედვით მექანიკური ხასიათის ცვლილებებთან უნდა გვექნოდეს საქმე, თუმცა სინამდვილეში არც ისე მექანიკური ცვლილებებია. საგადასახადო კოდექსში წარმოდგენილი ცვლილებით, მნიშვნელოვნად იცვლება საგადასახადო დავის განხილვის საერთო წესი. თუ ადრე მეწარმე უკმაყოფილებას ასაჩივრებდა ჯერ საგადასახადო ინსპექციაში, შემდეგ საგადასახადო დეპარტამენტში, ხოლო შემდეგ ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში, ის აღნიშნული ცვლილებით ერთ ბიუროკრატიულ ბარიერს ტოვებს და შემოსავლების სამსახურში გასაჩივრების შემდგომ დაუკმაყოფილებელ საჩივარს ასაჩივრებს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში.

საბაჟო კოდექსში წარმოდგენილი ცვლილებით ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის ზოგიერთ ადგილას ნახსენები შემოსავლების სამსახური და საბაჟო

ორგანო (მაგ. ცვლილების მუხლები 24 და 24¹). ამასთან, გაურკვეველია, საბაჟო ორგანოები რა ურთიერთობაში იმყოფებიან შემოსავლების სამსახურთან, მისი ტერიტორიული ორგანოები არიან თუ სხვა სტატუსი გააჩნიათ. იგივე ითქმის საგადასახადო ორგანოებზე. თუ საგადასახადო და საბაჟო ორგანოები შემოსავლების სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებს წარმოადგენენ, მაშინ რატომ იყო საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით აღჭურვილი შემოსავლების სამსახურის ამ ორგანოების სათავეში ყოფნა, თუ კანონმდებელი იმთავითვე გაძლიერებული და პოლიციური ორგანოს შექმნას არა აპირებდა?

2.2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 264-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის სახით წარმოდგენილი ცვლილებებით, მთავარი ოპერატიული სამსახური მოიხსენიება, როგორც საგადასახადო და საბაჟო სფეროში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური. ამასთან, 248-ე მუხლის 1-ელ და მე-3 ნაწილებში წარმოდგენილი ცვლილებით, პირადი და ნივთების გასინჯვა შეიძლება აწარმოონ შინაგან საქმეთა, გასამხედროებელი დაცვის, სამოქალაქო ავიაციის ორგანოების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის, საბაჟო ორგანოების, საგადასახადო ორგანოების და სასაზღვრო ჯარების საამისოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, ხოლო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევაში – აგრეთვე საამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოების თანამდებობის პირებმა“. აქაც, ისევე როგორც წარმოდგენილ სხვა ცვლილებებში, ორგანოებს შორის ფუნქციების აღრევასთან გვაქვს საქმე და აღნიშნულის დარეგულირების გარეშე შემოსავლების სამსახურის სისტემაში მოქმედი ორგანოების საქმიანობა არაეფექტური და დუბლირებადი იქნება.

2.3. „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონი

აღნიშნული კანონის მე-5 მუხლში წარმოდგენილი ცვლილებით, იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო პროცედურის განხორციელებისას შესაბამის სამსახურს სრული საფუძველი ექნება ივარაუდოს, რომ საქონელი წარმოებულია ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრირებულ ობიექტზე უფლებების დარღვევით, შესაბამისი სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ასეთი საქონლის გადაადგილების, საბაჟო კონტროლის ქვეშ განთავსების ან/და საბაჟო პროცედურების 10 სამუშაო დღის ვადით შეჩერების შესახებ. მალფუჭებადი საქონლის შემთხვევაში ეს ვადა 6 სამუშაო დღეა.

ამასთან, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, თუ შეტყობინებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში განმცხადებელი და საქონლის იმპორტიორი, ექსპორტიორი ან/და მფლობელი შესაბამის სამსახურს წარუდგენენ წერილობით შეთანხმებას, რომ საქონლის მფლობელი უარს აცხადებს შეჩერებულ საქონელზე, შესაბამისი სამსახური ანადგურებს შეჩერებულ საქონელს უფლების მფლობელის ხარჯითა და პასუხისმგებლობით. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის მფლობელი შეჩერების ვადის განმავლობაში არ გამოეხმაურება შესაბამისი სამსახურის შეტყობინებას ან არ გაასაჩივრებს უფლების მფლობელის მოთხოვნას შეჩერებული საქონლის განადგურების თაობაზე. მალფუჭებადი საქონლის შემთხვევაში შესაბამისი სამსახურისათვის წერილობითი შეთანხმების წარდგენის ვადა 4 სამუშაო დღეა.

უნდა აღინიშნოს, რომ მალფუჭებადი საქონელი საკმაოდ პირობითი ცნებაა და ის თითოეულ ასეთი კატეგორიის საქონელზე განსხვავებულია. ამიტომაც, წარმოდგენილი ცვლილებით, ვადა გონივრულ ფარგლებში უნდა იყოს აღებული და კარგად გათვლილი.

2.4. „თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები

„თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებით, ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობის სახეობები და ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოებია:

- ◆ იმპორტიორის ან მწარმოებლის მიერ თამბაქოს ნაწარმის საბითუმო ვაჭრობა ერთი ობიექტიდან – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური;
- ◆ სხვა პირის მიერ თამბაქოს ნაწარმის საბითუმო ვაჭრობა ერთი ობიექტიდან – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური;
- ◆ პირის მიერ თამბაქოს ნაწარმით საცალო ვაჭრობა ერთი ობიექტიდან – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადო ტერიტორიული ერთეული;
- ◆ თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც გაუგებარია ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სტრუქტურა და შესაბამისად ორგანო, რომელსაც უნდა მიაკითხოს ლიცენზიის აღების მსურველმა პირმა. ამასთან, აღნიშნული ცვლილებები მოითხოვს „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანას.